

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მარიამ ჩუბინიძის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	ზიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
საქართველოს ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	11	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	89	100

თარიღი: 17.09.2024

ვასილ მშვენიერაძე



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიაძე

2024 წლის 17 სექტემბერი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - მარიამ ჩუბინიძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (18 ვაკანსიაზე).

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა მარიამ ჩუბინიძე (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელებ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

- „ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;
- „ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- „გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები;
- „ვ“ პროფესიული თვისებები;
- „თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- „ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

- „ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 25 ქულა;
- „ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 25 ქულა;
- „გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები – 20 ქულა;
- „დ“ პროფესიული თვისებები – 15 ქულა;
- „ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 10 ქულა;
- „ვ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. „კანდიდატი“ 33 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2014 წელი). სპეციალობით მუშაობს 12 წელი და 8 თვე, კერძოდ:

- 2012 წლის ოქტომბერი - 2013 წლის აპრილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის მომსახურების ცენტრის კონსულტანტი - თბილისის საქალაქო სასამართლო;

- 2013 წლის აპრილი - 2014 წლის იანვარი - მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის წამყვანი სპეციალისტი - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2013 წლის მაისი - 2014 წლის იანვარი - სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების სხდომის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;
- 2014 წლის იანვარი - 2015 წლის მაისი - სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების სხდომის მდივანი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;
- 2014 წლის აპრილი - 2015 წლის თებერვალი - სამართლებრივი და ორგანიზაციული განყოფილების მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;
- 2015 წლის მაისი - 2018 წლის ივლისი - ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწე - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;
- 2018 წლის ივლისი - 2023 წლის ივლისი - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მოსამართლის თანაშემწე პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თბილისის სააპელაციო სასამართლო;
- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ივლისი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, კურსდამთავრებული.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის მოსმენის, გაანალიზების, გადაწყვეტილების მიღების უნარს და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს. ამასთან, ახასიათებენ, როგორც დისციპლინირებულ, შრომისმოყვარე, შედეგზე ორიენტირებულ, პროფესიონალ, კეთილსინდისიერ, შრომისმოყვარე და გულისხმიერ პიროვნებას. გამოკითხული რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი არანაირი ინფორმაცია. „კანდიდატი“ არ სარგებლობს სოციალური ქსელით. იგი არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხები, დადებითი საკრედიტო ისტორიით. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. 2021 წლის 16 აგვისტოდან 2024 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, „კანდიდატს“ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი ფაქტი, გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. „კანდიდატი“ დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი; მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

2.1.7. მარიამ ჩუბინიძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი: მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/15; რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში 7.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით: „სამოქალაქო სამართალში მარიამ ჩუბინიძე მაღალ დონეზე ფლობს მრავალმხრივ თეორიულ ცოდნას. შესწევს უნარი თეორიული ცოდნა შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას, გამოიყენოს თეორიული ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის. მის მიერ შედგენილი პროცესუალური დოკუმენტები გამოირჩეოდა აზრის ლაკონურად, თანმიმდევრულად ჩამოყალიბებით, ფაქტების ზუსტი და სწორი შეფასებით, მკაფიო სამართლებრივი დასაბუთებით. ადმინისტრაციულ სამართალში მარიამ ჩუბინიძე კარგად იცნობს მოქმედ კანონმდებლობას, ფლობს თეორიულ ცოდნას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. მას კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული გულმოდგინება მუშაობის პროცესში და უდიდესი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობების მიმართ. სისხლის სამართალში სემინარული მუშაობისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დებულებების ცოდნა. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება.“

ამავე დასკვნის თანახმად: „კანდიდატს შესწევს უნარი საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება, ასევე წერილობითი დოკუმენტი ზედმიწევნით და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს. შეუძლია გრამატიკულად და სტილისტურად გამართულ ენაზე და გასაგებად ჩამოაყალიბოს აზრი, მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები მხოლოდ უმნიშვნელო შესწორებებს საჭიროებდა. კანდიდატს შეუძლია დაუბრკოლებელი ზეპირი მეტყველება და აზრის ნათლად, ლაკონურად და დამაჯერებლად ჩამოყალიბება.“

2.1.8. კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია და ნაშრომი.

2.1.9. „კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ ღონისძიებებში (მაგ: ბავშვის უფლებათა კოდექსი, - Prolog, 2021 წელი; სამედიცინო სამართლის პრობლემატური

საკითხები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2021 წელი; ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილების სამოქალაქო ასპექტების შესახებ ჰააგის 1980 წლის კონვენცია - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2021 წელი; მედიაცია - USAID-PROLOG, 2021 წელი; სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების სტანდარტების მიხედვით - UNDP, 2021 წელი და სხვა).

2.1.10. „კანდიდატი“ არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.11. „კანდიდატი“ ფლობს რუსულ და გერმანულ ენებს.

2.1.12. „კანდიდატს“ გავლილი აქვს სამთვლიანი სასწავლო კურსი და ჩაბარებული აქვს მოსამართლის თანაშემწის გამოცდა;

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის“ პასუხები ძირითადად თანმიმდევრული და არგუმენტირებული იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მოსმენაზე კანდიდატმა არასრული პასუხები გასცა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით დასმულ ზოგიერთ შეკითხვას.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“;

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“

(სამოსამართლო გამოცდილების არმქონე) კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს სრულად აკმაყოფილებს, შესაბამისად, მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი დასკვნის, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ:

4.1.1. „კანდიდატს“ გააჩნია სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების კარგი ცოდნა. საჯარო მოსმენაზე მისი პასუხები არგუმენტირებული იყო. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატს სწორად შეუძლია დაინახოს პრობლემის არსი, მოიძიოს და განსაზღვროს სამართალური თეორიის ადეკვატურად შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები.

4.1.2. „კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი და ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება. როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნით ირკვევა, „კანდიდატს“ შესწევს უნარი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი მოტივები გასაგებად გადმოსცეს და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს. გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებით, „კანდიდატს“ გააჩნია სამართლებრივი პრობლემების სწორად დანახვის, მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთისა და მართებული გამოსავლის პოვნის უნარი.

4.1.3. „კანდიდატის“ შესახებ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი დასკვნით დავადგინე, რომ „კანდიდატის“ შესწევს უნარი საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება. „კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს თანმიმდევრულად და ლოგიკურად, ღია და გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებულის) მოთმინებით მოსმენის უნარი.

4.1.4. „კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. საჯარო მოსმენაზე ნათლად და გასაგებად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

4.1.5. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა

შეხვედრებსა და ღონისძიებებში. დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

4.1.6. „კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - მარიამ ჩუბინიძე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 89 ქულით.

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა - 22

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 23

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები - 19

„დ“ პროფესიული თვისებები - 11

„ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 9

„ვ“ პროფესიული აქტივობა - 5

ვასილ მშვენიერაძე

